



**ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახური**

09 ივლისი 2024



N 446

ქ. თბილისი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“  
ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით  
განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებისა და განგრძობითი განათლების  
სასწავლო ტრენინგის პროგრამის შეთანხმების თაობაზე**

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს №8 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ — წესი) შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის (შემდგომ — სამსახური) წარდგენილ იქნა, ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) 28 ივნისის განცხადება (რეგისტრაციის N 108991/16) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებისა და განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამის შეთანხმების შესახებ. სამსახურის მიერ 2024 წლის 04 ივლისს (რეგისტრაციის N 16/51442), წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადგინდა ხარვეზი, რომელიც დაინტერესებული პირის მიერ აღმოფხვრილ იქნა დროულად, 2024 წლის 05 ივლისის (რეგისტრაციის N 112807/16) და 08 ივლისის განცხადებებით (რეგისტრაციის N 113337/16) წარმოდგენილი წერილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და წესის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დასრულდეს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებასა და განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამის შეთანხმებასთან დაკავშირებული წარმოება.

2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია“ (ს/კ: 404921670) აღიარდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად 2024 კალენდარული წლის პერიოდისთვის და შეთანხმებულად ჩაითვალოს 2024 წლის 28 ივნისს (რეგისტრაციის N 108991/16) წარმოდგენილი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის

დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამა.

3. მიენიჭოს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას“ (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-AMLCFTCPD-05/24.

4. დაევალოს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას“ (ს/კ: 404921670) სამსახურთან შეთანხმებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამის საჯაროდ განთავსება.

5. ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) მიერ წესის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

6. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს მონიტორინგი გაუწიონ ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) მიერ წარმოდგენილი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგს.

7. ინფორმაცია ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარების თაობაზე განთავსდეს სამსახურის ვებგვერდზე.

8. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას“ (ს/კ: 404921670) ამ ბრძანების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლოძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

<https://edoc.mof.ge/public/#/446-16-4-202407091217>

